შრომის ინსპექციის სამსახურის გამჭვირვალობის შეფასება

ანგარიშის ძირითადი დასკვნები (გამოქვეყნდა 2023 წლის დეკემბერში)

ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2023 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას აფასებს. კვლევა აანალიზებს შრომის ინსპექციის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკას, როგორც პროაქტიულად გამოქვეყნების კუთხით, ასევე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად; ანგარიში ასევე აფასებს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის სისრულეს და ავლენს რიგ ხარვეზებსა და გამოწვევებს ინსპექციის მიერ საჯარო ინფორმაციის ზუსტად და სრულყოფილად გაცემასთან დაკავშირებით. ანგარიშის ბოლოს შეთავაზებულია რეკომენდაციები.



ბადმოწერეთ ანგარიში (shroma.ge-ზან)

მეთოდოლოგია

ანგარიში ინსპექციისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე ადგენს შრომის ინსპექციის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის სტანდარტის შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო პრაქტიკასთან. აღნიშნულს გარდა, მონაცემები მოპოვებული იქნა საჯარო ინფორმაციის მიღების გზით, ინსპექციის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მასალისა და სხვა მეორადი წყაროების მეშვეობით. ინფორმაციის მისაღებად ჩატარდა ინტერვიუები ექსპერტებთან და სამიზნე ჯგუფებთან.

რაზომ არის გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი?

შრომის ინსპექციის სამსახური გადამწყვეტ როლს ასრულებს შრომის ეროვნული პოლიტიკის აღსრულებასა და მშრომელთა უფლებების დაცვის საქმეში, ამდენად მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, აუცილებელია სათანადო საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად - უწყების ეფექტურობის შესაფასებლად, სამუშაო ადგილებზე შრომის პირობების მონიტორინგისა და არსებული დარღვევებისა და შრომითი ტენდენციების იდენტიფიცირებისთვის.

ძირითადი დასკვნები

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება: შრომის ინსპექციის სამსახური სრულყოფილად არ ასრულებს „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. დარღვეულია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება როგორც შინაარსობრივი, ისე ვადების თვალსაზრისით, რაც კანონმდებლობის დარღვევას და გამჭვირვალობის კუთხით სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

არასრულყოფილი პასუხები: ცალკეულ შემთხვევებში, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია არ არის სრულყოფილი და სრულად ვერ პასუხობს დაინტერესებული პირის მოთხოვნას. მაგალითისთვის, სამსახურმა არ წარმოადგინა 2023 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში შემოწმებული ობიექტების ჩამონათვალი და მათ მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები იმ მიზეზით, რომ ამ პერიოდში განხორციელებული ინსპექტირებების შედეგები და შედგენილი საქმისწარმოების მასალები დამუშავების ეტაპზეა.

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ შრომის ინსპექციის სამსახური დროულად არ გასცემს საწარმოო უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით ჩატარებული მოკვლევის მასალებს.

ძირითადი დასკვნების შეჯამება (ბაბრძელება)

სამსახურის შესახებ ინფორმაცია: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საპასუხოდ, შრომის ინსპექციამ არ მოგვაწოდა სამსახურის შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც კანონით უნდა იყოს საჯარო. გამოთხოვილი ინფორმაცია მოიცავდა მონაცემებს ხელფასებისა და პრემიების შესახებ; ინფორმაციას სამივლინებო ხარჯების შესახებ; ინსპექციის საკუთრებაში არსებული მანქანების სიასა და საწვავის მოხმარების აღრიცხვის შესახებ მონაცემებს. ეს ინფორმაცია ასევე არ არის განთავსებული ინსპექციის ვებგვერდზე, როგორც ამას კანონი მოითხოვს.

ბიუჯეტი: შრომის ინსპექციის სამსახურის ბიუჯეტთან, სახელმწიფო შესყიდვებსა და ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია სამსახურის ვებგვერდზე არ არის წარმოდგენილი.

ვებგვერდზე მკაფიოდ და გასაგებ ენაზე არ არის აღწერილი, თუ როგორ და როდის შეუძლიათ თანამშრომლებს მოითხოვონ შემოწმება.

რეკომენდაციები

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საპასუხოდ:

• აუცილებელია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შრომის ინსპექციის სამსახურის დროულად რეაგირება და დაინტერესებული პირებისათვის ინსპექტირების მასალების დაუბრკოლებლად მიწოდება. ცალკეულ შემთხვევაში, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, კონკრეტული ინსპექტირების მასალების დროულად წარმოდგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, საწარმოო უბედური შემთხვევების დროს).

• მნიშნელოვანია, საჯარო ინფორმაციის გაცემის დაყოვნების თავიდან ასაცილებლად შრომის ინსპექციის სამსახურმა შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმები ინსპექტირების მასალების დროულად დამუშავებისთვის.

შესწავლილი საქმე

2023 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა. კერძოდ, სამსახურმა ინსპექტირების საქმის წარმოების მასალებში დაფარა შემოწმებული საწარმოები და მხოლოდ სასამართლოში სარჩელის პასუხად გახსნა.

პროაქტიული ზომები ინფორმაციის მიწოდებისთვის:

• მნიშვნელოვანია, შრომის ინსპექციის სამსახურმა უზრუნველყოს „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად ინფორმაციის სრულყოფილად გამოქვეყნება.

• მნიშვნელოვანია, სამსახურმა ინფორმაცია განათავსოს ვებგვერდის თემატურ ბლოკში, ხელი შეუწყოს მასზე გამარტივებულ წვდომას და საჭირო ინფორმაციის ადვილად მოძიებას.

• შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდეს დეტალური ინფორმაცია ინსპექტირების განხორციელების საფუძვლების, შედეგებისა და დასკვნების თაობაზე.

• მნიშვნელოვანია, შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის წლიურ ანგარიშში მკაფიოდ გაიმიჯნოს პირველადი და განმეორებითი ინსპექტირებების რაოდენობა, ასევე სპეციფიკურ დარგებს/რეგულაციებსა და შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებზე ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელებულ შემოწმებათა რაოდენობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა:

• აუცილებელია, სამსახურმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები საზოგადოების ნდობის გასაძლიერებლად, მათ შორის ვებგვერდზე დეტალური ინფორმაციის (გზამკვლევის) გამოქვეყნებით, სადაც მოცემული იქნება, თუ რა შემთხვევაში შეუძლია დასაქმებულს მიმართოს შრომის ინსპექციის სამსახურს, ასევე როგორია დარღვევის თაობაზე შეტყობინების წესი და პროცედურა. ეს ინფორმაცია ცხადად უნდა მიუთითებდეს, რომ იმ დასაქმებულების ვინაობა, რომლებიც აცხადებენ დარღვევების შესახებ, რჩება კონფიდენციალური.

• მიზანშეწონილია სხვადასხვა ღონისძიებების გატარება მოქალაქეთა ჩართულობის გასაძლიერებლად.